06/02/2026

MES 3 26 0000129341

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 23.01.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:14
სხდომის დასრულების დრო: 18:45
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

1. ლევან შავაძე - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ქეთევან აფთარაშვილი - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ვაჟა კელიხაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. ბონდო გასვიანი - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
6. თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
7. თეა მჭედლური - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
8. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და

ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
9. მაქსიმ იავიჩი - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. ნარგულ ასანიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
11. ქეთევან ნანობაშვილი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი**;**
12. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
13. ქრისტინე ახალაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
14. ნათია იორდანიშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
15. ვლადიმერ ადეიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
16. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული საბჭოს წევრები:
1. **გია ლობჟანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
2. ჯილდა ჭეიშვილი - საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის საბჭოს წევრი;
3. ეკა ბოჭორიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;
4. ნინო გაგუა - შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ სტუდენტი
5. კახაბერ ვანიშვილი - შპს „ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის“ დირექტორის მოადგილე;
6. დავით თოთაძე - შპს „ჯეო ჰოსპიტალსის - თბილისის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორი;
7. ზვიად კირტავა - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ პროფესორი;
8. ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
9. დავით კობეშავიძე - შპს „იმედის კლინიკის“ დირექტორი;
10. ივანე ჩხაიძე - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ანა ჯავახიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი

- გოჩა თუთბერიძე - რექტორი
- სოფიო ხუნდაძე - ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით
- ნინო ტალიაშვილი - ვიცე რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით
- თათია ხარაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- თამარ პერტაია - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი
- ზაზა ავალიანი - - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (განხორციელების ადგილი თბილისი) ხელმძღვანელი
- თინათინ გოგნაძე - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (განხორციელების ადგილი თბილისი) ხელმძღვანელი

შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

- რექტორი - სალომე პირველი;
- ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - ანჟელა აბულაძე;
- რექტორის მრჩეველი - ჯილდა ჭეიშვილი;
- საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელძღვანელი - ნინო კასრაძე;
- საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელძღვანელი - თამარ შარაშენიძე;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - თეა თულაშვილი;
- ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი - სოფიკო ალფაიძე.

შპს ალტე უნივერსიტეტი

- **რამაზ კუკულაძე** - უნივერსიტეტის პრეზიდენტი
- **ირმა გრძელიძე** - ვიცე-პრეზიდენტი აკადემიურ საქმეთა და კვლევების მიმართულებით
- **ანი ამირანაშვილი** - ვიცე-პრეზიდენტი მარკეტინგისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებით
- **თამარ მახარაძე** - ვიცე-პრეზიდენტი ფინანსებისა და საოპერაციო მიმართულებით
- **ნინო ალავიძე** - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი
- **ირმა ნოზაძე** - პროგრამების შესაბამისობის სამსახურის უფროსი
- **ლაშა მაჭარაშვილი** - შეფასებების სამსახურის უფროსი
- **სოფიო იდაძე** - ადამიანების განვითარების და საქმისწარმოების დეპარტამენტის დირექტორი
- **გიორგი გაბისონია** - მედიცინის საერთაშორისო სკოლის დეკანი
- **ეკა აბჟანდაძე** - პროგრამის ხელმძღვანელი
- **ირინე ფხაკაძე** - პროგრამის თანახელმძღვანელი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

- **ერმილე მესხია** - პროფესორი, ხელოვნების მენეჯმენტის 60 და 120 კრედიტიანი პროოგრამების ხელმძღვანელი, გამათლების ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.
- **სოფიო თავაძე** - ასოცირებული პროფესორი, ხელოვნების მენეჯმენტის 60 და 120 კრედიტიანი პროგრამების ხელმძღვანელი, გამათლების ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
- **ქეთევან ვაჩეიშვილი** - პროფესორი, ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- **დარეჯან გარდავაძე** - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **ზაზა სხირტლაძე** - პროგრამის ხელმძღვანელი
- **ირმა რატიანი** - პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

- **ნინო ჟვანია –** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

აკრედიტაციის ექსპერტები
თამარ გოდერიძე (I საკითხი);
ნინო ინაური (წევრი) (I საკითხი);
ციცი პაპუნაშვილი (წევრი) (I საკითხი);
ივანა კარევი Ivana Carev (II საკითხი);
ნატო დურგლიშვილი (წევრი) (II საკითხი);
თინათინ გოგნაძე (III საკითხი);
ლაშა დოლიძე (III საკითხი);
თამარ ჩხეიძე (IV, V, VI, VII საკითხი);
ნინო ფხაკაძე (VIII საკითხი);

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:
1. შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ალტე უნივერსიტეტის „მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნების მენეჯმენტის“ (120 კრედიტიანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

5. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნების მენეჯმენტის“ (60 კრედიტიანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიის და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
•კი

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა რამდენიმე შუამდგომლობა:

1. "სსიპ - ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ (ძირითადი სპეციალობა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 28 აპრილის N351828 გადაწყვეტილებასა და დანართში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
2. "სსიპ - ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის ,,სამოქალაქო ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 05 სექტემბრის N175 გადაწყვეტილებასა და დანართში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2025 წლის 24 ოქტომბრის 1567430 ოქმის მე-7 ნაწილში ტექნიკური ხარვეზების გასწორების საკითხის განხილვა.
4. „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 24 ოქტომბრის N1567430 სხდომის ოქმში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ალტე უნივერსიტეტის „მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნების მენეჯმენტის“ (120 კრედიტიანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

5. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნების მენეჯმენტის“ (60 კრედიტიანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიის და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.
8. "სსიპ - ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ (ძირითადი სპეციალობა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 28 აპრილის N351828 გადაწყვეტილებასა და დანართში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
9. "სსიპ - ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის ,,სამოქალაქო ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 05 სექტემბრის N175 გადაწყვეტილებასა და დანართში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
10. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2025 წლის 24 ოქტომბრის 1567430 ოქმის მე-7 ნაწილში ტექნიკური ხარვეზების გასწორების საკითის განხილვა.
11. „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 24 ოქტომბრის N1567430 სხდომის ოქმში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

პირველი საკითხი: შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
დავით კაპანაძე.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა უნივერსიტეტთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თამარ გოდერიძემ აღნიშნა, რომ დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანმა ერთსაფეხურიანმა პროგრამამ აკრედიტაცია რამდენიმე თვის წინ გაიარა, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანი იყო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების პროგრესის შემოწმება მას შემდეგ, რაც დაწესებულებამ შეეცვალა სახელწოდება. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა გახდა შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სააკრედიტაციო ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 20 და 21 ნოემბერს. ვიზიტი ორგანიზებული იყო განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ და განხორციელდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის IV კორპუსის მეოთხე სართულზე, რომელიც ევროპის ცენტრალურმა უნივერსიტეტმა იქირავა თბილისის კამპუსისთვის.

ვიზიტის პირველ დღეს (2025 წლის 20 ნოემბერს) ექსპერტთა ჯგუფს რამდენიმე შეხვედრა ჰქონდა პროგრამის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან (Zoom-ის საშუალებით, ქუთაისში მდებარე ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამიდან), უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. დაწესებულებაში ვიზიტს ესწრებოდა ჯგუფის ყველა წევრი უცხოელი ექსპერტების ჩათვლით. ვინაიდან პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები სწავლას დაიწყებენ 2026 წლის მარტიდან, ამ ეტაპზე პროგრამას არ ჰყავს მედიცინის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა მატერიალურ-ტექნიკური ბაზები: ა(ა)იპ „ჯო ენის უნივერსიტეტის საავადმყოფო“ და შპს „აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“. შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კამპუსში არსებული აუდიტორიები, პრაქტიკული ლაბორატორიები, კლინიკური უნარებისა და სიმულაციის ცენტრი, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციული ოფისები. დასასრულს, ესქპერტთა ჯგუფი შეხვდა რექტორს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრორექტორს ხარისხის გაუმჯობესების საკითხებში, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს და ადმინისტრაციის გუნდს და წარუდგინა მიგნებების შეჯამება. სულ გაიცა 5 რეკომენდაცია და 1 რჩევა, კერძოდ:

- რეკომენდებულია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სასწავლო პროცესში სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით დამონტაჟდეს პანდუსები.
- რეკომენდებულია, დაზუსტდეს, უზრუნველყოფს თუ არა ქუთაისსა და თბილისში ერთდროულად დასაქმებული ადამიანური რესურსი პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას.
- რეკომენდებულია, ბიბლიოთეკაში გაფართოვდეს საკითხავი სივრცე.
- რეკომენდებულია, ბიუჯეტის უფრო გამჭვირვალედ წარმოდგენა წლების და/ან სემესტრების მიხედვით დაგეგმვის საფუძველზე.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

რაც შეეხება რჩევას, სასურველია ბიბლიოთეკის ბეჭდური გამოცემები წარმოდგენილი იყოს ერთზე მეტი ეგზემპლარით - მინიმუმ 1 წიგნი ყოველ 10 სტუდენტზე. ინსტიტუციამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა რჩევა და რეკომენდაციები უცვლელი დარჩა ექსპერტების გადაწყვეტილებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სოფიო ხუნდაძემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შენობაში, სადაც პროგრამის განხორციელება იგეგმება, უზრუნველყოფილია ლიფტით სარგებლობა. შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესში სრულფასოვანი ჩართვა შესაძლებელია. შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი“ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (MD) ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ ფართში, რომელიც სრულად

აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულება თვლის, რომ აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის აუცილებლობა არ არსებობს.
მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით სოფიო ხუნდაძემ განმარტა, რომ პროგრამის განხორციელება არ ეფუძნება მხოლოდ გაზიარებულ ადმინისტრაციულ პერსონალს. პროგრამის დაგეგმვის ეტაპზე შეფასდა ის პოზიციები, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადგილზე ყოფნისთვის და უშუალოდ ამ პროგრამის განხორციელებაში ჩართულობას მოითხოვს. შედეგად შეირჩა 11 თანამშრომელი, მათ შორის: დეკანის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლები, ბიბლიოთეკის თანამშრომელი, სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი, ლაბორანტი, ადამიანური რესურსებისა და საქმის წარმოების სამსახურის თანამშრომელი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომელი და ექთანი. ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულება და ისინი პასუხისმგებელნი იქნებიან მხოლოდ აღნიშნული პროგრამის განხორციელებაზე. ამასთან, პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი — ზაზა ავალიანი და თინათინ გოგნაძე.
მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც ფასდება სხვადასხვა რესურსის გამტარუნარიანობა, მათ შორის აუდიტორიების, ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის შესაძლებლობები მედიცინის პროგრამის კონტექსტში. აღნიშნული მეთოდოლოგია მოიცავს ბიბლიოთეკის სივრცისა და ადგილების რაოდენობის შეფასებასაც. არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილია გამოთვლის სისტემა, რომელიც ეფუძნება დაშვებას, თუ დღეში საშუალოდ რამდენ დროს ატარებს სტუდენტი უნივერსიტეტში. აღნიშნული მონაცემები მიიღება სტუდენტური კითხვარის საფუძველზე, რომლის შედეგების მიხედვით საშუალო მაჩვენებელი შეადგენს დღეში დაახლოებით ორ საათს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოდგენილია შესაბამისი გამოთვლები და რაოდენობრივი მაჩვენებლები. კითხვარში ასევე გათვალისწინებულია კითხვა ბიბლიოთეკით სარგებლობის შეზღუდვის შემთხვევების შესახებ, რის საფუძველზეც ტარდება შემდგომი ანალიზი. უნივერსიტეტი აცხადებს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში გაზარდოს ბიბლიოთეკის სივრცე და ადგილების რაოდენობა.
მეოთხე რეკომენდაცია დაწესებულებისთვის ბუნდოვანი აღმოჩნდა. აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი იყო როგორც უნივერსიტეტის, ისე ფაკულტეტის 2024–2025 სასწავლო წლის ბიუჯეტი. აღნიშნულ პერიოდში კონკრეტული პროგრამა ჯერ არ ფუნქციონირებდა, შესაბამისად, შეუძლებელი იყო მისი შემოსავლებისა და ხარჯების მიმდინარე ბიუჯეტში ასახვა. ამასთანავე, წარმოდგენილი იყო 2025–2026 სასწავლო წლის დაგეგმილი ბიუჯეტიც. დაწესებულების პოზიციით, ამ ორი წლის ბიუჯეტების დაჯამება არაკორექტულია, ვინაიდან 2024–2025 წლის ბიუჯეტი მოიცავს მოქმედი პროგრამის ფინანსურ მაჩვენებლებს, სადაც სტუდენტთა რაოდენობა მაღალია და შესაბამისად ბიუჯეტიც მეტია, მაშინ როდესაც 2025–2026 წლის ბიუჯეტი ეხება ახალ, ჯერ არამოქმედ პროგრამას, რომელზეც დაგეგმილია მხოლოდ პირველი წლის მიღება, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებ შემოსავალს გულისხმობს. ამდენად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ აღნიშნული დოკუმენტების ერთმანეთთან შედარება არ არის გამართლებული.
მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ზემოაღნიშნული მეთოდოლოგია გამოიყენება აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისთვისაც. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი ადგენს კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში განსახორციელებელი საათების მინიმუმ 51% უნდა უზრუნველყოს აკადემიურმა პერსონალმა. აღნიშნული ნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობრივი თანაფარდობის მარტივი და ობიექტური შეფასება.
გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაციის გაცემის საფუძველი არ არსებობს და დაწესებულება საბჭოს მიმართავს თხოვნით, აღნიშნული რეკომენდაცია, ისევე როგორც

აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული რეკომენდაცია, ამოღებულ იქნეს. ამასთან, უნივერსიტეტი განმარტავს, რომ აკადემიური პერსონალის ზრდა უწყვეტ პროცესს წარმოადგენს, ხოლო მათი მდგრადობის კუთხით დასკვნაში რაიმე სახის პრეტენზია არ არის დაფიქსირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ციური დურულმა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე შეკითხვით მიმართა ექსპერტებს და დაინტერესდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძვლით. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი დოკუმენტებში დეტალურად არის გაწერილი, რის გამოც გაუჩნდა კითხვა, თუ რატომ იქნა გაცემული აღნიშნული რეკომენდაცია.

ნინო ინაურმა განმარტა, რომ ბიბლიოთეკის რესურსის გაზრდის რეკომენდაცია განპირობებული იყო თავად სივრცის მახასიათებლებით. ექსპერტების შეფასებით, არსებული ბიბლიოთეკის სივრცე არ იქნებოდა საკმარისი 600 სტუდენტის ერთდროულად მომსახურებისთვის და ამასთან, აკლდა ინდივიდუალური ოთახები სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისთვის. აღნიშნული შეფასება ეფუძნებოდა სივრცის ვიზუალურ დათვალიერებასა და წიგნთა რაოდენობას. რაც შეეხება ბიუჯეტს, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი იყო 2024–2025 სასწავლო წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტი, 2025–2026 სასწავლო წლის პროგრამის ბიუჯეტი და ქუთაისის ფილიალის ბიუჯეტი, რამაც გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია, ვინაიდან არ იყო ნათელი, რატომ იყო 2025–2026 წლის ბიუჯეტი შემცირებული და 2024–2025 წლის ბიუჯეტი - უფრო ფართოდ გაწერილი.

ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ის ეთანხმება დაწესებულების პოზიციას, რომლის მიხედვითაც ინსტიტუციისთვის, რომელმაც წარმატებით გაიარა ავტორიზაციის პროცესი, ავტორიზაციასთან დაკავშირებული საკითხის გამოკვეთა აკრედიტაციის რეკომენდაციის კონტექსტში არარელევანტურია, ვინაიდან აღნიშნული საკითხი აკრედიტაციის სტანდარტებში პირდაპირ არ იკითხება. მან დაინტერესდა რეკომენდაციის გაცემის მიზეზით და აღნიშნა, რომ თუ მოთხოვნა ბეჭდურ წიგნებს ეხება, გაუგებარია 1/10 თანაფარდობის გამოყენების ლოგიკა. ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ ელექტრონული რესურსების არსებობის პირობებში პრობლემა არ წარმოიქმნება, მით უმეტეს, რომ სამედიცინო ლიტერატურა ყოველწლიურად განახლდება და ბეჭდური გამოცემების შეძენა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს მოითხოვს. ჯილდა ჭეიშვილმა ასევე ყურადღება გაამახვილა პროგრამის სტრუქტურაზე და აღნიშნა, რომ პროგრამა მოიცავს 360 კრედიტს, რომელთაგან 330 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს, ხოლო 320 კრედიტი სავალდებულოა, მათ შორის 10 კრედიტი — კვლევით კომპონენტს. ერთ-ერთი სასწავლო კურსია 11-კრედიტიანი „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების საფუძვლები“, რომელშიც ინტეგრირებულია ოთხი დისციპლინა: უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია, ბიოქიმია, სამედიცინო გენეტიკა და ფიზიოლოგია. ამ კონტექსტში მან ექსპერტებს ჰკითხა, რამდენად ლოგიკურად მიაჩნდათ ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის ინტეგრაცია.

თამარ გოდერიძემ განმარტა, რომ კამპუსთან დაკავშირებული რეკომენდაცია ექსპერტებმა საჭიროდ ჩათვალეს დაეფიქსირებინათ, ხოლო მისი დატოვება ან ამოღება საბჭოს გადაწყვეტილების საგანია. რაც შეეხება წიგნებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, მან აღნიშნა, რომ ეს წარმოადგენს ძველ ფორმულირებას, რომელიც სტანდარტში არ განახლებულა. ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით ექსპერტებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულ მიდგომას ეთანხმებიან და ამ ნაწილში დაწესებულების მიმართ კითხვები არ აქვთ.

ზვიად კირტავამ ექსპერტებს მიმართა შეკითხვით პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თუ ჩანაწერი გაკეთდა, გაუგებარია, რატომ არ მოხდა ინფრასტრუქტურის სრულყოფილი შემოწმება. ამასთან, მისი აზრით, წიგნებთან დაკავშირებული შენიშვნა

ზედმეტია, ვინაიდან სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე ნებისმიერ დროს.

ნინი ინაურმა განმარტა, რომ ყველა რეკომენდაცია გაცემულია სტუდენტების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და დაწესებულების მატერიალური რესურსის შეფასების საფუძველზე. წიგნებთან დაკავშირებული მითითება, მისი თქმით, მხოლოდ რჩევის ხასიათის იყო. ამასთან, ექსპერტებმა შეისწავლეს, რომ უნივერსიტეტს ჰყავს 44 თანამშრომელი, რომელთაგან 33 აკადემიური პერსონალია, ხოლო 111 — მოწვეული. რეკომენდაცია უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ QMS-ის მონაცემების მიხედვით აღნიშნული პერსონალი ერთდროულად იყო დატვირთული ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის თბილისის და ქუთაისის ინსტიტუციებში, ასევე სხვა უნივერსიტეტებშიც. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ლექტორები ერთდროულად ასწავლიდნენ ბათუმში, თბილისში და ქუთაისში. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ ხელმისაწვდომობას, დათვალიერების დროს ექსპერტებმა ცენტრალურ შესასვლელთან პანდუსი ვერ დააფიქსირეს.

ლევან შავაძემ შეკითხვით მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ რეკომენდაციებიდან გამომდინარე იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დაწესებულებას არ გააჩნია საკმარისი რესურსი 600 სტუდენტის კონტინგენტისთვის, რის თაობაზეც დაინტერესდა ექსპერტების პოზიციით.

თამარ გოდერიძემ აღნიშნა, რომ ცენტრის მხრიდან ექსპერტებს არ გააჩნიათ სტუდენტთა რაოდენობის ზუსტი გამოთვლის მეთოდოლოგია, რის გამოც ვერ იტყვიან დაზუსტებით, რამდენად დააკმაყოფილებს არსებული რესურსი 600 სტუდენტს.

გოჩა თუთბერიძემ განმარტა, რომ ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნი გაციფრულებულია და სტუდენტებს მათზე წვდომა აქვთ ნებისმიერი ადგილიდან. რაოდენობრივ მაჩვენებლებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოეთხოვება გააჩნდეს მკაფიო ფორმულები სტუდენტთა, აკადემიური პერსონალისა და საბიბლიოთეკო რესურსების დათვლისთვის, ხოლო ექსპერტების ფუნქციაა შეაფასონ ამ გამოთვლების სისწორე. ბიუჯეტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ 2024–2025 და 2025–2026 სასწავლო წლების ბიუჯეტები ბუნებრივად განსხვავდება, ვინაიდან ერთ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო 600 სტუდენტი, ხოლო მეორე შემთხვევაში — 300.

ქეთევან აფთარაშვილმა შეკითხვით მიმართა დაწესებულებას და დაინტერესდა ექსპერტების შეფასებით გამოთვლის მეთოდოლოგიასა და მოთხოვნილ სტუდენტთა კონტინგენტთან მიმართებით.

თამარ გოდერიძემ აღნიშნა, რომ 600 სტუდენტზე გათვლილი პროგრამის შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმახორციელებელი პერსონალის ანალიზს. QMS-ის მონაცემების მიხედვით, ერთი და იგივე ლექტორები რამდენიმე უნივერსიტეტში მუშაობენ, რის გამოც ექსპერტებმა აღნიშნულ საკითხზე გაამახვილეს ყურადღება.

სოფიო ხუნდაძემ განმარტა, რომ სტუდენტისთვის ლიფტამდე მისასვლელად პანდუსის საჭიროება არ არსებობს. მან ასევე აღნიშნა, რომ სტანდარტი არ განსაზღვრავს რესურსების რაოდენობის დათვლის კონკრეტულ ფორმულას, თუმცა მოითხოვს, რომ უნივერსიტეტს გააჩნდეს საკუთარი მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია დაწესებულებას შემუშავებული აქვს და მისი მეშვეობით ფასდება სიმულაციური სივრცეების, ლაბორატორიების, აუდიტორიების, ბიბლიოთეკის, კლინიკური ბაზებისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამტარუნარიანობა. შესაბამისი დათვლის ფორმულები წარმოდგენილი იყო არგუმენტირებულ პოზიციაში. ამასთან, ხაზი გაესვა, რომ

დაწესებულებაარ იყენებს ერთსა და იმავე პერსონალს თბილისის და ქუთაისის ინსტიტუციებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:27
დასრულების დრო: 15:34
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით, განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

ძირითადი საბჭოს წევრები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

მოწვეული საბჭოს წევრები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (31/12/2027), ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.

მეორე საკითხი: შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ივანა კარევმა აღნიშნა, რომ ვიზიტი ეხებოდა საექთნო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს. ეს არის საექთნო განათლებასთან დაკავშირებული პროგრამა, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ამ პროგრამის განხორციელებაში ცალკეულ კლინიკებთან და ჯანდაცვის სხვადასხვა დაწესებულებებთან. უშუალოდ დაწესებულება წელიწადში მხოლოდ 12 სტუდენტს მიიღებს და მათ სთავაზობს როგორც ინდივიდუალურ მიდგომას, ასევე ეფექტურ სასწავლო გარემოს. ის მოიცავს როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ ნაწილს. აღნიშნული პროგრამა შეიქმნა იმისთვის, რომ საქართველოში არის დეფიციტი უშუალოდ საექთნო პროფესიისა და ამასთან დაკავშირებით ეფექტურობის შესანარჩუნებლად უნივერსიტეტს ქვოტა აქვს 12 სტუდენტზე. სტუდენტებისთვის შეთავაზებულია კარიერული წინსვლა, პროექტებში მონაწილეობის მიღებაში მხარდაჭერა და სხვა. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პროგრამა არის ახალი, ცალკეული პრობლემებია უმაღლესი განათლების განვითარებისა და ჯანდაცვის სფეროსთან დაკავშირებით, რეპუტაციის მიღებასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით ფუნქციონირებს პროგრამა საქართველოში და თავაზობს კვალიფიციურ ექთნებს მნიშვნელოვანი დეფიციტის შესავსებად. რაც მთავარია, პროგრამას ატარებენ არა ექთნები, არამედ უშუალოდ ექიმები. პროგრამა ისწავლება ინგლისურ ენაზე, თუმცა ამის გათვალისწინებით ზოგიერთი პედაგოგი არ ფლობს მაღალ დონეზე ინგლისურ ენას. ამასთან, პროგრამა ძალიან ფართო საექთნო განათლებას სთავაზობს პრეკლინიკურ სფეროებზე აქცენტის გათვალისწინებით, მაგალითად, ლაბორატორიული სამუშაოები, უსაფრთხოების ზომები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ, თუმცა შეიძლება, ამის გათვალისწინებით ცალკეული ჯანმრთელობის პრობლემები და ცალკეული ჯანდაცვის საკითხები სწავლების მიღმა დარჩეს. პროგრამის განხორციელება მოითხოვს თანამედროვე აღჭურვილობას, მაღალი ხარისხის რესურსს და კვალიფიციურ პერსონალს, რომელიც კარგად არ იყო დასაბუთებული სასწავლო დაწესებულების მიერ თუ რამდენად ჰყავთ აკრედიტებული კვალიფიციური პერსონალი. პროგრამა არ შეესაბამება პირველ სტანდარტს, მეტწილად შეესაბამება მეორეს, მეოთხესა და მეხუთეს, ხოლო მესამეს შეესაბამება სრულად. 1.2 რეკომენდაციაში რეკომენდებულია საგნის სილაბუსების გადახედვა, რათა მკაფიოდ განისაზღვროს და ინტეგრირდეს პრაქტიკული და პროფესიული უნარები გაცხადებულ სასწავლო შედეგებში, განსაკუთრებით ის კომპეტენციები, რომლებიც ხშირად იმპლიციტურად იგულისხმება, მაგრამ არ არის ფორმალურად ჩამოყალიბებული ან საკმარისად ასახული განაწილებულ საკონტაქტო საათებში. ეს ხელს შეუწყობს თეორიული ცოდნისა და საექთნო საქმეში საჭირო პრაქტიკული კომპეტენციების დაბალანსებას, როგორიცაა კლინიკური პროცედურები, პაციენტის მოვლა და პრაქტიკული უნარები. უნარების განვითარებაზე უფრო მკაფიო აქცენტი უზრუნველყოფს სტუდენტების უკეთ მომზადებას ჯანდაცვის რეალურ გარემოში მუშაობისთვის. 1.4 გაიცა 3 რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაციაში პროგრამის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, რეკომენდებულია გადაიხედოს კურსები, სადაც გაერთიანებულია დისციპლინები, როგორიცაა, მაგალითად, ფიზიოლოგია და ბიოქიმია, იმგვარად, რომ მომიჯნავე საგნები ისწავლებოდეს ცალკე კურსებად. ეს შესაძლებელს გახდის თითოეული დისციპლინა უფრო ღრმად იქნას შესწავლილი. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების მიერ შინაარსის სრულად ათვისება ისე, რომ არ დაიბნენ ან არ გაეფანტოთ ფოკუსი. მეორეში - რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის დახვეწა ისე, რომ თითოეული საგანი მიაწოდოს მკაფიოდ განსაზღვრული, სფერო-სპეციფიკური შინაარსი, რაც უზრუნველყოფს უფრო ფოკუსირებულ სწავლებას და გამჭვირვალე პროგრესს სასწავლო გეგმის მიხედვით. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს ცოდნისა და კომპეტენციების სისტემატურ განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს შექმნან მყარი საფუძველი თითოეულ საგნობრივ არეში, სანამ უფრო რთულ კონცეფციებზე გადავლენ. ეს გააუმჯობესებს პროგრამის საერთო მთლიანობას. ხოლო მესამეში - უნდა ჩატარდეს სასწავლო გეგმის ყოვლისმომცველი გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ საგნების თანმიმდევრობა და სტრუქტურა ასახავს ლოგიკურ პროგრესს, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს ნაბიჯ-ნაბიჯ ააშენონ ცოდნა საგნებს შორის ზედმეტი გადაფარვის გარეშე. ეს ხელს შეუწყობს უფრო

თანმიმდევრული და ეფექტური საგანმანათლებლო გამოცდილების მიღწევას. 1.5 ქვესტანდარტში რეკომენდებულია, პროგრამის ფარგლებში ჩატარდეს თითოეული კურსისთვის კრედიტების განაწილებისა და საკონტაქტო საათების საფუძვლიანი გადახედვა, რათა პრაქტიკულ კურსებს და კლინიკურ ტრენინგთან დაკავშირებულ კურსებს დაეთმოს საკმარისი კრედიტები და საკონტაქტო დრო. ეს უზრუნველყოფს პროგრამის სტრუქტურის სწავლის შედეგებთან შესაბამისობას და უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ საკმარისი შესაძლებლობები საექთნო პრაქტიკისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის. პრაქტიკისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის. ასევე, რეკომენდებულია, თითოეული კურსის საფუძვლიანი გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს შინაარსისა და სწავლის შედეგების სრულად შესაბამისობა, აგრეთვე მიზანმიმართულობა. ზოგიერთი კურსი ამჟამად შეიცავს ერთად დაჯგუფებულ, მაგრამ ერთმანეთთან დაუკავშირებელ თემებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დაბნეულობა და ხელი შეუშალოს სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევაში. ამ გადახედვის მიზანი უნდა იყოს თანმიმდევრული, ლოგიკურად სტრუქტურირებული კურსების შექმნა, რომლებიც თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ უნარებთან აბალანსებსდა ამით უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ თითოეული საგნის ყოველმხრივ გააზრებას. 2.2 ქვესტანდარტში გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. რეკომენდებულია, ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობის გაზრდა. შესაძლებელია მიღებულ იქნას ზომები პროგრამის კვლევითი საქმიანობის ეროვნულ ქსელებში პოპულარიზაციისთვის და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადგილობრივ პუბლიკაციები იგივე დონის ყურადღებას და ინვესტიციას იღებდნენ, როგორც საერთაშორისო ჟურნალები. რეკომენდებულია, საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა პროგრამის ხილვადობისა და მრავალეროვნულ კვლევით პროექტებში მონაწილეობის გაზრდის მიზნით, რამაც შეიძლება განაპირობოს უფრო მაღალი ხარისხის პუბლიკაციები და უფრო მეტი გავლენა როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ საექთნო პრაქტიკაზე. რეკომენდებულია, „სხვა სამეცნიერო/კვლევითი ინდიკატორების“ ცნების დამატებითი განმარტება და ძალისხმევის მიმართვა ამ აქტივობების გაფართოებისთვის, მასში კვლევითი მიღწევების უფრო ფართო სპექტრის ჩართვით, როგორიცაა დაფინანსებული პროექტები, გრანტები და კვლევითი ინოვაციები. 2.3 ქვესტანდარტში რეკომენდებულია, OSCE სადგურების რეგულარული განახლება კლინიკური პრაქტიკის მიმდინარე ტენდენციების ასახვის მიზნით. ამასთან, რეკომენდებულია, მონიტორინგის შედეგების ინტეგრირება პროგრამის გრძელვადიანი განვითარების გეგმაში. 4.1 კომპონენტში გაიცა რამდენიმე რეკომენდაიცა. პროგრამის სიღრმისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა დაიქირავოს მეტი კვალიფიციური საექთნო საქმის პედაგოგი, რომლებსაც აქვთ საექთნო საქმის სფეროში კვლევასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკაში ცოდნა. ეს უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა მიიღონ ყოვლისმომცველი განათლება როგორც თეორიულ ცოდნაში, ასევე პრაქტიკულ ექთნურ უნარებში. რეკომენდებულია, პროგრამა მიზნად ისახავდეს აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პროფესორებს შორის უფრო დაბალანსებული თანაფარდობის მიღწევას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობა სრული განაკვეთით მომუშავე მუდმივი აკადემიური პერსონალის მიერ, რომელიც პროგრამის გრძელვადიანი წარმატების ერთგულია. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩადოს ინვესტიცია პედაგოგიური პერსონალის ენობრივი განვითარების პროგრამებში, განსაკუთრებით სამედიცინო ინგლისურსა და საექთნო საქმის ტერმინოლოგიაში. სამედიცინო ენის ცოდნის მიზნობრივი ტრენინგის შეთავაზება ხელს შეუწყობს იმის უზრუნველყოფას, რომ ფაკულტეტის ყველა წევრს შეეძლება სტუდენტებთან მკაფიოდ და ეფექტურად კომუნიკაცია, განსაკუთრებით კომპლექსურ კლინიკურ და აკადემიურ გარემოში. ეს კი გააუმჯობესებს სწავლების ხარისხსა და სტუდენტების მიერ სასწავლო მასალის ათვისებას. საექთნო საქმის მცოდნე პედაგოგიური პერსონალის დეფიციტის აღმოსაფხვრელად, განსაკუთრებით ექიმებზე დამოკიდებულების პირობებში, რეკომენდებულია უფრო კვალიფიციური და გამოცდილი

საექთნო საქმის პედაგოგების დაქირავება. ეს შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს გაიარონ სპეციალიზებული მომზადება საექთნო საქმის კონკრეტული მიმართულებებით, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მათი პროფესიული განვითარებისთვის. ასევე, რეკომენდებულია, რომ ყველა პედაგოგი ფლობდეს ინგლისურ ენას, განსაკუთრებით რთული საექთნო ტერმინოლოგიისა და კონცეფციების გადმოცემისას. ენის სწავლება ან ინგლისურად თავისუფლად მოსაუბრე ტრენერების დაქირავება გააუმჯობესებდა განათლების ხარისხს და უზრუნველყოფდა ეფექტურ სწავლებას. 4.3 ქვესტანდარტში რეკომენდებულია. პერსონალის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმების შემუშავება. ამასთან, რეკომენდებულია. საერთაშორისო მობილობის გაზრდა და კვლევით პროექტებში მონაწილეობა. 4.1 კომპონენტში რეკომენდებულია. უნივერსიტეტმა ჩადოს ინვესტიცია ბიბლიოთეკის კოლექციისა და ციფრული მონაცემთა ბაზების განახლებაში, ასევე თანამედროვე საექთნო საქმის სახელმძღვანელოებზე, სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებსა და საერთაშორისო ელექტრონულ ჟურნალებზე წვდომის უზრუნველსაყოფად. ეს სასწავლო გეგმას ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე ტენდენციებსა და მიღწევებთან შესაბამისობაში შეინარჩუნებს. ციფრული სწავლებისა და ელექტრონული შეფასების მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, რეკომენდებულია გამოიყოს მეტი რესურსი ამ მეთოდებისთვის საკონტაქტო სწავლების დროს. სტუდენტებისთვის სიმულაციის ინსტრუმენტებზე, ონლაინ სწავლების პლატფორმებსა და ელექტრონულ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად გაზრდის მათ უნარს, დაეუფლონ როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტებს საექთნო განათლების სფეროში. რეკომენდებულია. უნივერსიტეტმა ჩადოს ინვესტიცია ბიბლიოთეკის კოლექციისა და ციფრული მონაცემთა ბაზების განახლებაში, ასევე თანამედროვე საექთნო საქმის სახელმძღვანელოებზე, სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებსა და საერთაშორისო ელექტრონულ ჟურნალებზე წვდომის უზრუნველსაყოფად. ეს სასწავლო გეგმას ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე ტენდენციებსა და მიღწევებთან შესაბამისობაში შეინარჩუნებს. ციფრული სწავლებისა და ელექტრონული შეფასების მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, რეკომენდებულია გამოიყოს მეტი რესურსი ამ მეთოდებისთვის საკონტაქტო სწავლების დროს. სტუდენტებისთვის სიმულაციის ინსტრუმენტებზე, ონლაინ სწავლების პლატფორმებსა და ელექტრონულ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად გაზრდის მათ უნარს, დაეუფლონ როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტებს საექთნო განათლების სფეროში. 4.5 ქვესტანდარტში რეკომენდებულია, რომ ბიუჯეტი ყოველწლიურად გამოითვალოს და ყველა შესაძლო რისკი ზუსტად იყოს წარმოდგენილი. 5.1-ში რეკომენდებულია, პროგრამის გუნდმა, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისთან თანამშრომლობით, გადახედოს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების, რათა დარწმუნდეს მათ ამბიციურობაში, რეალისტურობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში, ამავდროულად აქტიურად ჩართოს პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი ამ ინდიკატორების განსაზღვრასა და შეფასებაში, რათა გააძლიეროს შედეგების შეფასების ვალიდურობა და ეფექტურობა. 5.3 ქვესტანდარტში რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შექმნას და განახორციელოს სტრუქტურირებული მონიტორინგისა და შეფასების ციკლი, როგორც კი პროგრამა გადავა განხორციელების შემდეგ ეტაპზე. ეს უნდა მოიცავდეს მონაცემთა სისტემატურ შეგროვებას ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ადმინისტრაციული პერსონალი) მონაწილეობით, მკაფიო შეფასების ინდიკატორებს და შედეგების დოკუმენტირებულ გამოყენებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. რეგულარული შეფასების ვადების დადგენა და ანალიზისა და შედეგად მიღებული ქმედებების წერილობითი მტკიცებულებების შენახვა აუცილებელი იქნება პროგრამის განვითარების პროცესში ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების დემონსტრირებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სალომე პირველმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დასკვნა სრულად არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და იმ დარგობრივ დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზეც პროგრამა არის შემუშავებული და რომელსაც თავად დაწესებულებაც ითვალისწინებს. მისი შეფასებით, დასკვნა არ ასახავს ინსტიტუციაში არსებულ რეალურ ფაქტობრივ გარემოებებს.
მაგალითად, დასკვნაში მითითებულია, რომ პროგრამა მოიცავს 12 სტუდენტისგან შემდგარ მცირე ჯგუფს, რომელთაგან 6 ქართველია, ხოლო დანარჩენი - უცხოელი. თუმცა, პროგრამა პირველად გადის აკრედიტაციას და სტუდენტების მიღება ჯერ არ განხორციელებულა, რის გამოც აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და ფაქტობრივ საფუძველს მოკლებულია. ამასთან, სალომე პირველმა აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტის ეტაპზე გაცემული იყო 48 რეკომენდაცია, ხოლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემდეგ 19 რეკომენდაცია გაბათილდა.
განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პირველი სტანდარტის შეფასებაზე. კერძოდ, მაშინ, როდესაც ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები სრულ ან მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, გაუგებარია, როგორ შეიძლება 1.5 ქვესტანდარტი შეფასდეს როგორც შეუსაბამო.
ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ 1.5 ქვესტანდარტის ფარგლებში გაცემულია ორი რეკომენდაცია, რომლებიც ძირითადად ეხება საგნობრივი ინტეგრაციის დონესა და კრედიტებისა და საკონტაქტო საათების განაწილებას. მისი განმარტებით, თუ პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია, სწავლის შედეგები — მეტწილ შესაბამისობაშია, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები - სრულ შესაბამისობაშია, ლოგიკურად გაუმართავია 1.5 ქვესტანდარტის შეუსაბამოდ შეფასება.
მან ასევე აღნიშნა, რომ ქართული კანონმდებლობა და დარგობრივი დოკუმენტები პირდაპირ წაახალისებს სასწავლო კურსებში ინტეგრაციას, რამდენადაც ეს საგნობრივი სპეციფიკით არის შესაძლებელი. წარმოდგენილი პროგრამა არის ნახევრად ინტეგრირებული: ზოგი საგანი დამოუკიდებლად არის წარმოდგენილი, ხოლო ნაწილი - ინტეგრირებული ფორმით, რაც სრულად შეესაბამება დარგობრივ მოთხოვნებს.
რაც შეეხება საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილებას, აღინიშნა, რომ საექთნო დარგობრივი დოკუმენტი ერთადერთი რეგულატორული დოკუმენტია, სადაც განსაზღვრულია თეორიული და კლინიკური სწავლების მინიმალური მოთხოვნები. ამ დოკუმენტის მიხედვით:

- მინიმალური საკონტაქტო საათების რაოდენობა უნდა შეადგენდეს 1534 საათს, ხოლო პროგრამაში განსაზღვრულია 1535 საათი;
- კლინიკური სწავლებისთვის მოთხოვნილია 2300 საათი, ხოლო პროგრამა ითვალისწინებს 2309 საათს;
- დარგობრივი მოთხოვნაა 240 კრედიტი, მათ შორის 220 სპეციალობისთვის და 20 ზოგადი განათლებისთვის;
- პროგრამაში ძირითად სასწავლო კურსებს ეთმობა 212 კრედიტი, არჩევით კურსებს — 13 კრედიტი, ხოლო თავისუფალ კომპონენტს — 12 კრედიტი.

ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ სტუდენტის კვირეული დატვირთვა 40 საათს ფიზიკურად ვერ აღემატება, რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ სამუშაოს, და აღნიშნული მოთხოვნაც დაცულია.
2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით სალომე პირველმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია სამეცნიერო პუბლიკაციების გაზრდის შესახებ შინაარსობრივად უფრო მეოთხე სტანდარტს უკავშირდება, თუმცა იმავე ნარატივში მითითებულია, რომ დაწესებულება იყენებს ძლიერ კვლევით რესურსებს. ამასთან, OSCE სადგურების რეგულარული განახლების რეკომენდაცია დაწესებულების მიერ აღიქმება როგორც განმავითარებელი შეფასება, რომლის განხორციელებაც ლოგიკურად დაიწყება მას შემდეგ, რაც პროგრამა რეალურად ამოქმედდება.

მეოთხე სტანდარტთან მიმართებით ძირითადი აქცენტი გაკეთდა კვალიფიციური საექთნო საქმის პედაგოგების დამატების მოთხოვნაზე. ამ კონტექსტში აღინიშნა, რომ დარგობრივი დოკუმენტის მიხედვით კლინიკური დისციპლინების განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- პროფესორი - სულ მცირე 5-წლიანი გამოცდილება;
- ასოცირებული პროფესორი - სულ მცირე 3-წლიანი გამოცდილება;
- კლინიკური მიმართულების სპეციალისტი - სულ მცირე 9-წლიანი გამოცდილება.

აღინიშნა, რომ საქართველოში საექთნო სფერო ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და ექთანს, რათა პროგრამაში ჩაერთოს, უნდა ჰქონდეს მინიმუმ 5-წლიანი კლინიკური გამოცდილება, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს კადრების შერჩევის შესაძლებლობას. საექთნო მიმართულებით ბაკალავრის ხარისხის მქონე კადრების დეფიციტი განსაკუთრებით მწვავეა რეგიონებში. ამ კონტექსტში მითითდა, რომ 2024 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის — *სამედიცინოპერსონალის პროფესიულიგანვითარებისეფექტიანობისაუდიტის* - მიხედვით, იმ დროისთვის საქართველოს მასშტაბით ამ მიმართულებით სულ 61 კურსდამთავრებული იყო.
პროგრამას ამჟამად ჰყავს 46 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაგან 14-ს აქვს უშუალოდ საექთნო გამოცდილება, ხოლო დანარჩენი პერსონალი წარმოდგენილია ექიმების მიერ, რომლებიც ფლობენ შესაბამის დიპლომებსა და კვალიფიკაციას. ამასთან, 2.2 ქვეცსტანდარტის ფარგლებში პერსონალის სამეცნიერო აქტივობის გაზრდის რეკომენდაციის პარალელურად, ნარატივში თავად აღნიშნულია, რომ პროგრამის პერსონალს ჯამურად აქვს 224 სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი, რომელთაგან 24 გამოქვეყნებულია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში.
საბჭოს თავმჯდომარემ შეაჩერა სხდომა, და განმარტა, რომ ქალბატონი ჯილდა ჭეიშვილი წარმომადგენდა აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულ წევრს და ამ მიზეზით, აკრედიტაციის დებულების შესაბამისად, არ უნდა წარმოედგინა დაწესებულების პოზიცია.
ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, გამომდინარე იქიდან, რომ ქალბატონი ჯილდა ჭეიშვილი არის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრი, ხოლო, აკრედიტაციის საბჭო შედგება ძირითადი და მოწვეული წევრებისგან, აკრედიტაციის დებულების 27^4-ე მუხლისა და საბჭოს საქმიანობის წესისა და პრინციპების მე-9 პუნქტის შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში საბჭოს წევრი არ მონაწილეობს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და კენჭისყრის პროცესებში.
ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს აკრედიტაციის საბჭოს წევრის აცილების საფუძველი და საბჭოს წევრს არ განუცხადებია თვითაცილება, უფლება აქვს საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს მისი აცილება.

ამასთანავე, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს დაინტერესებული მხარის — დაწესებულების ან აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის - პოზიცია.

ცენტრის განმარტების შემდეგ, ქალბატონმა ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნულ საკითხზე განაცხადა თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ საექთნო მიმართულებით კვალიფიციური და გამოცდილების მქონე პერსონალი ქართულ რეალობაში საკმაოდ მწირია და დაინტერესდა, რა გზით უნდა შეძლოს ინსტიტუციამ აღნიშნული რეკომენდაციის დაკმაყოფილება.

ექსპერტმა განმარტა, რომ მიუხედავად არსებული სირთულეებისა, საკითხი ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს. შესაბამისი სტანდარტი განსაზღვრავს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილებაც უნივერსიტეტს ევალება. გაცემული რეკომენდაცია ითვალისწინებს იმას, რომ დაწესებულებამ სამომავლოდ უზრუნველყოს კვალიფიციური ექთნების მოძიება და მათი ეტაპობრივი ჩართვა სასწავლო პროცესში.

ციური დურულმა დამატებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან მიუთითა, რომ დარგობრივ მახასიათებელში განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის ორი წელიწადში ერთხელ გადამზადების ვალდებულება საექთნო მიმართულებით და დაინტერესდა, იყო თუ არა დაგეგმილი მსგავსი პროცესები.

სალომე პირველმა აღნიშნა, რომ, როგორც წესი, ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაცია აღიქმება სავალდებულოდ შესასრულებლად. თუმცა ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაცია სამომავლო ხასიათის იყო და უფრო რჩევას წარმოადგენდა, ვიდრე დაუყოვნებლივ შესასრულებელ მოთხოვნას.

ნინო კასრაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უკვე ჩაატარა ერთი ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც მოწვეული იყო უცხოელი ექსპერტი, ხოლო ტრენინგის თემატიკა სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებს ეხებოდა.

თამარ შარაშენიძემ აღნიშნა, რომ პერსონალის შერჩევის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენდა საექთნო განათლების ან შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების არსებობა.

ციური დურულმა კვლავ მიმართა ექსპერტებს და დაინტერესდა, თუ რატომ შეფასდა პირველი სტანდარტი შეუსაბამოდ, მაშინ როდესაც პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, არც ერთი კრიტერიუმი არ არის ნაწილობრივ შესაბამისობაში შეფასებული და ნარატივში არც ერთი სასწავლო კურსი არ არის კონკრეტულად მითითებული. ამასთან, კრედიტების განაწილება დარგობრივ დოკუმენტს შეესაბამება, რის გამოც მისთვის გაუგებარი იყო გაცემული რეკომენდაციის საფუძველი.

ივანა კარევმა განმარტა, რომ სასწავლო სტრუქტურისა და კრედიტების საკითხი ექსპერტებმა შეაფასეს იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა, და არსებული ინფორმაციის მიხედვით მიიჩნიეს, რომ იგი სრულ შესაბამისობაში არ იყო. რაც შეეხება ლიტერატურას, ექსპერტებმა ვიზიტის დროს დააფიქსირეს, რომ ნაწილი მასალებისა წარმოდგენილი იყო მხოლოდ ამობეჭდილი ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტაციაში სრული სია იყო მითითებული, ადგილზე განსხვავებული სურათი დახვდათ.

სალომე პირველმა განმარტა, რომ ყველა სახელმძღვანელო გაციფრულებულია, თუმცა დაწესებულებამ გამოყო მატერიალური რესურსი და ამობეჭდა აღნიშნული მასალები, რათა ისინი ფიზიკურადაც ყოფილიყო ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა სახელმძღვანელო, რომელიც სილაბუსებშია მითითებული, სპეციალურად საექთნო მიმართულების სტუდენტებზეა გათვლილი.

ივანა კარევმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომი განკუთვნილია საერთაშორისო სტუდენტებისთვისაც, ხოლო შემდგომში მისი აღიარება უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ უნდა მოხდეს. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო მასალები იყოს მკაფიოდ იდენტიფიცირებადი

და აკადემიურად გამართული. მან ასევე აღნიშნა, რომ ამობეჭდილ მასალებში დაფიქსირდა შემთხვევები, სადაც არ იყო მითითებული გვერდების ნომრები, სათაური ან ავტორი, რაც შესაძლოა საავტორო უფლებების დარღვევის რისკსაც შეიცავდეს. ექსპერტის შეფასებით, სტუდენტებისთვის სათანადო სასწავლო ლიტერატურის უზრუნველყოფა აუცილებელია.

ანალოგიური შენიშვნები გაკეთდა ლაბორატორიულ და სასწავლო გარემოსთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, ლაბორატორია უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების ცალკეულ სტანდარტებს და უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა ნიმუშების გადატანისა და გამოყენებისთვის. ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიული გარემო საკმაოდ მარტივად იყო მოწყობილი და გარკვეულ სივრცეებში უსაფრთხოების მოთხოვნები სრულად დაცული არ იყო, რის გამოც საერთაშორისო ექსპერტმა მიიჩნია, რომ აღნიშნული პირობები სტანდარტის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა.

სალომე პირველმა აღნიშნა, რომ წიგნებთან დაკავშირებით დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, ვინაიდან ყველა სახელმძღვანელოს გააჩნია ყდა, ავტორისა და სახელწოდების მითითება, ხოლო საავტორო უფლებებთან დაკავშირებული დოკუმენტაციაც ექსპერტებს მიეწოდათ. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გამოყო ხუთი ლაბორატორია, რომლებიც მოცემულ ეტაპზე აღჭურვილია დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად.

ნინო კასრაძემ აღნიშნა, რომ მას აქვს გამოცდილება ევროპის ერთ-ერთ უნივერსიტეტში საექთნო მიმართულებით სწავლების კუთხით და არსებული ლაბორატორიები არსებითად შეესაბამება იმ სტანდარტებს, რაც მან აღნიშნულ უნივერსიტეტში ნახა. მისი თქმით, ლაბორატორიებში გამოკრულია უსაფრთხოებისა და ქცევის წესები და ისინი აღჭურვილია საჭირო ტექნიკური საშუალებებით.

ივანა კარევმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ფუნქციონირებს სხვა უნივერსიტეტთან საზიარო შენობაში და ექსპერტების შეფასებით, უსაფრთხოების არსებული დონე არასაკმარისია.

სალომე პირველმა განმარტა, რომ დაწესებულება განთავსებულია 4 000 კვ.მეტრ ფართობზე, გადანაწილებულია შენობის სამ სართულზე და გათვლილია 300-კონტინგენტიან უნივერსიტეტზე.

მზია წიკლაურმა კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და დაინტერესდა, ექნებოდათ თუ არა სტუდენტებს შეხება ბიომასალებთან.

ნინო კასრაძემ განმარტა, რომ სტუდენტებს ბიომასალებთან შეხება არ ექნებათ და სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება მხოლოდ ხელოვნური მოდელები და მასალები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:11
დასრულების დრო: 17:27

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (31.12.2027).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია კლასტერის ვადით (31.12.2027).

მესამე საკითხი: შპს ალტე უნივერსიტეტის „მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

აცილება განაცხადა მზია წიკლაურმა, თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა უნივერსიტეტთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თინათინ გოგნაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ქართულენოვანი დიპლომირებული მედიცინის პროგრამაზე, რომელმაც აკრედიტაცია მიიღო 2023 წლის ნოემბერში. გეგმიური მონიტორინგი ჩატარდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2025 წლის 10–11 ნოემბერს.
ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, განხორციელდა ინტერვიუები, ასევე ვიზიტი შედგა კლინიკურ ბაზებზე.
აღინიშნა, რომ წინა აკრედიტაციის პერიოდში გაცემული ყველა რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენას, კერძოდ — სიმულაციური ოთახების დამატებას, რაც განხორციელდა რეკომენდაციის საფუძველზე. აღნიშნული რეკომენდაცია არა მხოლოდ შესრულებულია, არამედ ეფექტიანად არის ინტეგრირებული სასწავლო კურსებში.
ვიზიტის ფარგლებში ასევე გადამოწმდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან. შესრულებულია კლინიკურ ბაზებთან ხელშეკრულებების გაფორმების რეკომენდაციაც. პერსონალის მიმართულებით დაფიქსირდა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა, ხოლო დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაშია მოყვანილი ადრე გაცემული რჩევებიც.
ამავე დროს, გეგმიური მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ორი რეკომენდაციის გაცემის აუცილებლობა:
აფილირებული აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობის გაზრდა;

QMS სისტემაში აკადემიური პერსონალის დატვირთვის შესახებ ინფორმაციის პერიოდული განახლების უზრუნველყოფა.
საერთო შეფასების მიხედვით, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა შესაბამისობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ნინო ალავიძემ აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალისა და აბიტურიენტების დაინტერესება პროგრამის მიმართ მზარდია. ამასთან, დაწესებულებამ შეასრულა არა მხოლოდ გაცემული რეკომენდაციები, არამედ გაცემული რჩევების დაახლოებით 70%, რაც ადასტურებს უნივერსიტეტის მკაფიო ორიენტაციას უწყვეტ განვითარებაზე.

ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სისტემური და თანმიმდევრული მიდგომა პროგრამების განვითარების მიმართ, განსაკუთრებით სამედიცინო პროგრამების კონტექსტში. მისივე თქმით, აქამდე დაფიქსირებული პროგრესი გაგრძელდება იმავე სტრატეგიული მიმართულებითა და განვითარების ტემპით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
თეა მჭედლურმა სილაბუსებთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი შეფასებით, სილაბუსების უმრავლესობაში გამოყენებულია ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურა, მაშინ როდესაც სასწავლო პროცესის საწყის ეტაპზე სტუდენტებს ჯერ კიდევ არ აქვთ ინგლისური ენა სათანადო დონეზე ათვისებული. აღნიშნული გარემოება ქმნის რისკს, რომ სტუდენტებს გაუჭირდეთ სასწავლო მასალის სრულფასოვნად გააზრება, დისკუსიებში მონაწილეობა და სასწავლო შედეგების მიღწევა. ამ კონტექსტში დაისვა კითხვა, რა მექანიზმებით უზრუნველყოფს დაწესებულება სტუდენტების სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში იმ პირობებში, როდესაც ქართულენოვანი დამხმარე ლიტერატურა შეზღუდულია.
ნინო ალავიძემ განმარტა, რომ პროგრამაზე ირიცხებიან სტუდენტები ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, სადაც ინგლისური ენის მინიმალური მოთხოვნა განსაზღვრულია B1 დონით. მისივე თქმით, მიუხედავად ამისა, პირველ და მეორე სემესტრებში უზრუნველყოფილია ინგლისური ენის დონის შემდგომი განვითარება, რაც მიზნად ისახავს სტუდენტების აკადემიური მზაობის გაძლიერებას. ასევე აღნიშნა, რომ სილაბუსებში ინგლისურენოვან ლიტერატურასთან ერთად გათვალისწინებულია ქართულენოვანი წყაროებიც, რის შედეგადაც სტუდენტებისთვის სასწავლო მასალის დაძლევა სირთულეს არ წარმოადგენს.
ირმა გრძელიძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საექთნო და სამედიცინო მიმართულებით ქართულენოვანი აკადემიური ლიტერატურის სიმცირე სისტემურ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება, სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, იღებს პასუხისმგებლობას შეიქმნას სამუშაო ჯგუფები შესაბამისი აკადემიური ლიტერატურის თარგმნის მიზნით, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში გააუმჯობესებს სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:48
დასრულების დრო: 17:52

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის „მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული გეგმური მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს ალტე უნივერსიტეტის „მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნების მენეჯმენტის“ (120 კრედიტიანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

მეხუთე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნების მენეჯმენტის“ (60 კრედიტიანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეოთხე და მეხუთე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თამარ ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ 60-კრედიტიან პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო 7 რეკომენდაცია, ხოლო 120-კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში – 11 რეკომენდაცია. რეკომენდაციები შეეხებოდა პირველ და მეორე სტანდარტებს, რის საფუძველზეც აღნიშნული სტანდარტები შეფასდა „მეტწილად შესაბამისობის“ სტატუსით.

ამასთან, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შეფასდა სრულ შესაბამისობაში, მიუხედავად იმისა, რომ 3.1 და 5.3 ქვესტანდარტების ფარგლებში ასევე იყო გაცემული რეკომენდაციები. ექსპერტის განმარტებით, ყველა გაცემული რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტისთვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია და მასალა, რაც აუცილებელი იყო შეფასების პროცესისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:57
დასრულების დრო: 18:01

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნების მენეჯმენტის“ (120 კრედიტიანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტ ის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნების მენეჯმენტის“ (120 კრედიტიანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნების მენეჯმენტის“ (60 კრედიტიანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტი ს საფუძველზე, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნების მენეჯმენტის“ (60 კრედიტიანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეექვსე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიის და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
ქეთევან აფთარაშვილი; ბონდო გასვიანი; თამარ ზარანდია.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა უნივერსიტეტთან.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაციების შესრულების პროცესის თანმიმდევრულ და სისტემურ წარმართვას. განახლებული მასალები ცხადყოფს, რომ გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია. აღნიშნული რეკომენდაციები გაცემული იყო მეორე სტანდარტის ფარგლებში, კერძოდ პირველ და მეორე კომპონენტებში.

პირველი რეკომენდაცია ითვალისწინებდა, რომ უნივერსიტეტს უნდა უზრუნველეყო სტუდენტების დროული და გამჭვირვალე ინფორმირება შეფასების შედეგებთან

დაკავშირებით. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ექსპერტმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტს აქვს მუდმივი და აქტიური კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, რომლებიც ჩართულნი არიან როგორც პროგრამის არაპირდაპირ შეფასებაში, ისე მის განვითარებაში. აღინიშნა პოტენციურ დამსაქმებლებთან რეგულარული შეხვედრები და ასევე შრომის ბაზრის ფართომასშტაბიანი კვლევების განხორციელების გამოცდილება.
მეორე რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისთვის. აღნიშნული რეკომენდაციაც შესრულებულია, რაც დასტურდება იმით, რომ უნივერსიტეტს ამ მიმართულებით კომპლექსურად და სისტემურად აქვს ორგანიზებული შესაბამისი პროცესი.
შემდეგი რეკომენდაცია უკავშირდებოდა საკონტაქტო და დამოუკიდებელ (თავისუფალ) საათებს შორის თანაფარდობას. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს საათების განაწილების განსხვავებული და დასაბუთებული სქემების არსებობას.
ასევე შესრულებულია რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. დოკუმენტურად დასტურდება, რომ უნივერსიტეტმა დააზუსტა და ფორმალურად განსაზღვრა ინგლისური ენის B2 დონის მოთხოვნა და აღნიშნული შეიტანა დაშვების წინაპირობებში.
რეკომენდაცია ასევე ეხებოდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ტრენინგების ორგანიზებას. ამ მიმართულებითაც დაფიქსირებულია შესაბამისი ცვლილებები და გაუმჯობესებები.
რაც შეეხება რჩევებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სრული, დეტალური და არგუმენტირებული პასუხები, რაც ადასტურებს რეკომენდაციების და რჩევების შესრულებისადმი უნივერსიტეტის პასუხისმგებლიან მიდგომას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულებამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს კითხვები არ ჰქონდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:10
დასრულების დრო: 18:12

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიის და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტი ს საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიის და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
ქეთევან აფთარაშვილი; ბონდო გასვიანი; თამარ ზარანდია.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ პროგრამასთან მიმართებით გაცემული ყველა რეკომენდაცია სრულად შესრულებულია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულებამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:15
დასრულების დრო: 18:31

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტი ს საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მერვე და მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
8. "სსიპ - ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ (ძირითადი სპეციალობა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 28

აპრილის N351828 გადაწყვეტილებასა და დანართში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
9. "სსიპ - ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის ,,სამოქალაქო ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 05 სექტემბრის N175 გადაწყვეტილებასა და დანართში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

აცილება განაცხადა საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ. აცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ განხილული საკითხი დაკავშირებულია არა პროგრამის ცვლილებასთან, არამედ შეუთანხმებლობის კორექტირებას გადაწყვეტილებასა და ოქმს შორის. კონკრეტულად, ორივე პროგრამის შემთხვევაში ოქმში სათაურში მითითებულია ძირითადი სპეციალობა როგორც პროგრამის ნაწილის სახელწოდება, თუმცა გადაწყვეტილებაში ეს ინფორმაცია არ გადავიდა. შესაბამისად, შუამდგომლობა მდგომარეობს იმაში, რომ სათაურები დასკვნაშიც ემთხვეოდეს ოქმს, და „ძირითადი სპეციალობა“ იყოს პროგრამის დასახელების ნაწილი.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

"სსიპ - ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ (ძირითადი სპეციალობა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 28 აპრილის N351828 გადაწყვეტილებასა და დანართში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად:
1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრდიტაციის საბჭოს 2020 წლის 29 აპრილის №351828 გადაწყვეტილებაში შევიდეს ტექნიკური ხასიათის ცვლილება და გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
"სსიპ - ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ (ძირითადი სპეციალობა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ".
გადაწყვეტილების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
გადაწყვეტილების დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილება და "საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების" შესაბამის ველში მიეთითოს:
„ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია“ (ძირითადი სპეციალობა)"

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად:
1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრდიტაციის საბჭოს 2019 წლის 05 სექტემბრის №175 გადაწყვეტილებაში შევიდეს ტექნიკური ხასიათის ცვლილება და პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
"სსიპ - ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის ,,სამოქალაქო ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ".
გადაწყვეტილების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
2. ცნობილ იქნას სსიპ - ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის ,,სამოქალაქო ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
გადაწყვეტილების დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილება და "საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების" შესაბამის ველში მიეთითოს:
,,სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“.

მეათე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამაზე ვადის გახანგრძლივების შესახებ საკითხის განხილვა.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის ვადა ამოეწურა 2025 წლის 31 დეკემბერს. აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ, აკრედიატციის დებულებით დადგენილ ვადაში, ცენტრში წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი. მიმდინარე ეტაპზე, ცენტრში მიმდინარეობს აკრედიტაციის შეფასების პროცედურა. შესაბამისად, არ დასრულებულა ადმინისტრაციული წარმოება.
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის (24-ე მუხლის მე-4 პუნქტი) შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში აკრედიტაციის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება და საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულად ჩათვალოს აკრედიტაციის ვადის გასვლიდან არაუმეტეს 180 კალენდარული დღის განმავლობაში.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის, 2026 წლის 29 ივნისამდე აკრედიტაციის ვადის გაგრძელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 23 იანვრის სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ჩაითვალოს აკრედიტებულად 2026 წლის 29 ივნისამდე.

მეთერთმეტე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2025 წლის 24 ოქტომბრის 1567430 ოქმში ტექნიკური ხარვეზების გასწორების საკითხი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თეა მჭედლური, ნარგული ასანიძე.
მეთერთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 24 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი, 1567430), მე-7 საკითხად საკითხად განხილულ იქნა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგები („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის პროცესი);
აღნიშნული საკითხის შესახებ გადაწყვეტილების ოქმში, არსებობს შემდეგი ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ, გადაწყვეტილება, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2025 წლის 24 ოქტომბრის 1567430 ოქმის მე-7 ნაწილში ტექნიკური ხარვეზების გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2025 წლის 24 ოქტომბრის 1567430 ოქმის მე-7 ნაწილის გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, "ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 კალენდარული დღის ვადა.

აკრედიტაციის საბჭომ, დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის კურიკულუმში და დოკუმენტში „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა“ მითითებული პროგრამის მიზნები და ამავე დოკუმენტებში მითითებული პროგრამის სწავლის შედეგები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის დადგენის და „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკის“ გამოყენების შესაძლებლობას (1.2).

- რეკომენდებულია გადამუშავდეს სასწავლო კურსი „მსოფლიო ისტორიის აქტუალური პრობლემები“, კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სახელწოდებასთან და გამდიდრდეს უახლესი ლიტერატურით.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების გადახედვა უახლესი გამოცემების დამატების მიზნით (1.5).

- რეკომენდებულია არჩევითი სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში გასწორდეს შეფასების კრიტერიუმები, გახდეს არასტანდარტიზებული და შეესაბამებოდეს სადოქტორო საფეხურზე სწავლების სპეციფიკას (2.4).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2026 წლის 23 თებერვლის 18:45 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე